მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ (ᲮᲔᲨᲕᲐᲜᲘ) №9 (383) (5774) 2013

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

სოხნუთი და საქართველოს ებრაული თემი II გვ.

ბედნიერ ქვეყანათა რეიტინგში ისრაელი მე-11 ადგილზეა...

ღია წერილი საქართველოს წრემიერ-მინისტრს: ვის სჯერდებიან ერთხელ გადახდილი ოცბილეს ხელახლა გადახდა? III გვ.

დაბადების 80 წლისთავს ვულოცავთ გამოჩენილ დასტაქარს, სახელოვან ქართველ ებრაელს - შალვა მარდს IV გვ.

ამჟამ 20 ახალგაზრდა მილიარდერიდან 12 ებრაელია



სიმონ კიხიხელის ცხოვრების საქმე — გაზეთი „დავითის ფარი" 10 წლისაა V გვ.

ისრაელის საელჩო დახმარებას განაგრძობს...

ქართველ ებრაელთა ისტორიის ცნობილი მკვლევარი იცხაკ დავიდი ჩვენს ფურცლებზე VI გვ.



აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილის საფუძვლიანი რეაბილიტაცია: ებრაული თემის ქართული მეწერლობისაში VII გვ.

მოსკოვის სინაგოგაში „იონას წიგნის (მაფტირი)“ წაკითხვისათვის ერთ-ერთმა ბიზნესმენმა $ 660 000 გადაიხადა VIII გვ.

თემურ ყვითელაშვილი — თბილისის საპატიო მოქალაქე

4-6 ოქტომბერს ჩატარდა ტრადიციული დღესასწაული — თბილისობა. თბილისობაზე გამოაცხადეს ქართული კულტურის, მეცნიერების, იმ გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები, რომლებსაც თბილისის საპატიო მოქალაქეობის წოდება მოუწიათ.

თბილისის, საპატიო მოქალაქე გახდა ცნობილი მუსიკოსი, მომღერალი თემურ ყვითელაშვილი.



ქ. თბილისის მერს ბ-ნ გიგი უგულავას

ძვირფასო ბატონო გიგი,

მრავალი წელია ქართულ მუსიკალურ-საშემსრულებლო კულტურას ამშვენებს ისეთი დიდებული გიტარისტი, როგორც გახლავთ თემურ ყვითელაშვილი.

თ. ყვითელაშვილი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა და კვლავაც მოღვაწეობს ქართულ საესტრადო ანსამბლებში, მის ხელოვნებას იცნობენ უცხოეთის ქვეყნებში. მან ქართული საშემსრულებლო კულტურა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში წარადგინა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული მისი გასტროლები, ერთგვარი აღმოჩენა გახლდათ აშშ მუსიკალური წრეებისათვის — იგი აღიარეს საუკეთესო გიტარისტად.

თ. ყვითელაშვილის რეპერტუარში ქართველ კომპოზიტორთა არაერთი ნაწარმოებია, ხოლო მის მიერ შესრულებულმა რამდენიმე ქართულმა სიმღერამ საერთო-სახალხო აღიარება მოიპოვა, ამდენად იგი გვევლინება ქართული მუსიკალური კულტურის პროპაგანდისტად.

ეს რაც შეეხება მის შემოქმედებით ცხოვრებას. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა თემურ ყვითელაშვილის პიროვნულ თვისებებზე: თემურ ყვითელაშვილი გამოირჩევა უაღრესი თავდაჭერილობითა და მომთხოვნელობით საკუთარი თავისადმი. ეს არის თავის პროფესიაზე უაღრესად შეყვარებული ადამიანი, რომელიც განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით ხასიათდება.

საქართველოში გამომავალი ებრაული გაზეთის - „მენორას“ რედაქცია ბატონ თემურ ყვითელაშვილს წარმოადგენს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მოსაპოვებლად. ამ წარდგინებას ვუერთდები, როგორც მსოფლიოს ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

პატივისცემით **გურამ ბათიაშვილი**

მწერალი, დრამატურგი, გაზეთ „მენორას“ რედაქტორი,
მსოფლიოს ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი

05.09.2013

სიურპრიზებით აღსავსე სოხნუთის სადღესასწაულო საღამო

საქართველოს ებრაულ თემს მოენატრა დღესასწაულებთან დაკავშირებული დიდი ღონისძიებები.ებრაული საშემოდგომო დღესასწაულების დღეებში ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობამ— სოხნუთმა სწორედ ასეთი საღამო აჩუქა თემს. საღამოზე, რომელიც სასტუმრო ,,რედისონ-ივერიაში" ჩატარდა, მოწვეული გახლდათ თემის სამასი წარმომადგენელი—კულტურის, მეცნიერების, სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები,ბიზნესმენები,ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ახალგაზრდობა.

საღამოს ორგანიზატორმა —ებრაული სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობამ ძალღონე არ დაიშურა, რომ საღამო საინტერესო და უჩვეულო ყოფილიყო.სტუმრებს სიურპრიზი დასაწყისშივე ელოდათ:ნაცვლად ესოდენ ნაცნობი ტრადიციული მისალმებების მოსმენისა, მათ ნახეს ვიდეოკლიპი,რომელიც დამაჯერებლად გვიამბობდა ზაფხულში სოხნუთის მიერ გონიოში მოწყობილ ახალგაზრდულ ბანაკზე. სოხნუთის საზაფხულო ბანაკში საქართველოს სხვადსხვა კუთხიდან ჩამოსულმა 120 ახალგაზრდამ დაისვენა.ამ ვიდეოკლიპში ისრაელის მომხიბლავი ხედების კადრებს თან ახლდა პოპულარული ისრაელური სიმღერა ,,ისრაელი ჩემი სახლია". კლიპმა დარბაზში განსაკუთრებული სითბო და ამაღლებული,პატრიოტული განწყობილება შემოიტანა.

ამის შემდეგ დარბაზში შეკრებილთ მიმართავს სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის მეთაური ავი ოფირი.

ავი ოფირმა თქვა:

— საღამო მშვიდობისა და ბედნიერი დღესასწაულები. სუქოთის დღესასწაული, რომელსაც ჩვენ ამ დღეებში ვზეიმობთ. არის ისრაელის ყველა კუთხის გაერთიანების სიმბოლო. კავშირი ებრაულ დიასპორასა და ისრაელის სახელმწიფოს შორის არის დადებითი კომპონენტი ებრაელი ერის გასაერთიანებლად და ამ მოტივით სოხნუთის წარმომადგენლობა საქართველოში ფუნქციონირებს მისი არსებობის წლების განმავლობაში და ასევე უკანასკნელ წელს თქვენ, პატივცემულო საზოგადოებავ საშუალება გეძლევათ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენთან ერთად ღონისძიებებზე, სემინარებზე და სოხნუთის სხვა აქტივობებზე.

ჩვენდა სასიხარულოდ, წელს გვქონდა იმის საშუალება, რომ ჩაგვეტარებინა მოზრდილთა და სტუდენტთა ბანაკები, რომლის მთავარი დევიზი იყო „ისრაელი ჩემი სახლია".

ისრაელი თითოეული ჩვენგანის სახლია და ყველა ებრაელისა განურჩევლად. ჩვენთვის ისრაელი წარმოადგენს, როგორც ფიზიკურ სახლს, ასევე სულიერს. ყოველი ებრაელი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, უნდა გრძნობდეს, რომ ისრაელის სახელმწიფო, მის სახლს წარმოადგენს.

გასული წლის განმავლობაში ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი მოღვაწეობა და მივწვდით ახალ სიმაღლეებს, ჩვენი პარტნიორების: ქართველ–ებრაელ რაბინთა გაერთიანების, მისი პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ მირელაშვილის მხარდაჭერით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ურთიერთობების გამყარებას თემსა და სოხნუთს შორის. ახალ წელიწადს, რომელიც ამ დღეებში იწყება, ჩვენ გავაგრძელებთ და გავაღრმავებთ თქვენთან კავშირს და ურთიერთობას, კერძოდ:

ებრაული თვითშეგნების გამყარება;

დამატებითი მუშაობა რეგიონებში;

თამამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

მინდა ვისურვო და გისურვოთ ბედნიერი, წარმატებული წელი, ორი ქვეყნის — ისრაელისა და საქართველოს, მშვიდობისა და აყვავების წელი.

ლაპარაკობს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი.ბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა სოხნუთის დამსახურებას თემთან მუშაობის საქმეში. ამის ჩინებული დადასტურება ეს საღამოც გახლავთო.

სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ: ეკრანზე გამოჩნდაუკვე ჰიტად ქცეული კლიპი სიმღერით ,,ჰავანაგილა"რომელსაც ესოდენ პოპულარული მომღერლები ანრი ჯოხაძე და ვერიკო ტურაშვილი ასრულებდნენ.შემდეგ კი დარბაზში ამ სიმღერის შემსრულებლები ,თავად წარუდგნენ დღესასწაულის მონაწილეებს, გამოჩნდნენ და სიმღერა განაგრძეს. ამან ცხადია, დიდი აპლოდისმენტები გამოიწვია.

აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ საღამოს მუსიკალური ნაწილი თავისი გამოსვლებით დაამშვენეს ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერლებმა აბი ხანუქაშვილმა და ნინო ბაშარულმა

აგერ უკვე მეშვიდე წელია ებრაული სააგენტო გამოსცემს მაგიდის კალენდარს. რომელიც თემის წევრებს ძალიან მოსწონთ — მის გამოსვლას ელოდებიან. ახალი, 2013-14 წლების, კალენდარი შეკრებილთ წარუდგინა ებრაული სააგენტოს—სოხნუთის ალიისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ლევ სამოვსკიმ.

ცნობილმა რადიო და ტელეკომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა აღნიშნა ავი ოფირისა და მთელი სოხნუთის დამსახურება თემთან მუშაობის საქმეში და სოხნუთს საჩუქრად გადასცა თასი.

ებრაელი ხალხის ცხოვრებაში საშემოდგომო ებრაული დღესასწაულების მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს მთავარმა რაბინმა აბეშაი ბათაშვილმა.

დასასრულს სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ: ღონისძიების ჩატარებამდე ათი დღით ადრე ებრაულმა სააგენტომ გამოაცხადა ფოტოკონკურსი . შეჯიბრში მონაწილეობის საშუალება ეძლეოდათ იმ კონკურსანტებსა და ფოტოებს, რომლებიც გადაღებული გახლდათ ახალგაზრდობისათვის ისრაელში გამართული პროგრამების მონაწილეთა მიერ. კონკურსზე თავ-თავისი ნამუშევრები გამოგზავნა 20 ახალგაზრდამ, ამდენად თავი მოიყარა ორასმა ფოტომ.ამათგან სასტუმრო ,,რედისონ ივერიის" ფოიეში გამოფენილი იქნა ორმოცი ფოტო.საღამოს ორგანიზატორებმა კი გამარჯვებულის გამოვლენა მოწვეულ სტუმრებს მიანდეს. მათი კენჭისყრის შედეგად პრემიები ასე განაწილდა;

პირველი ადგილი—ლიკა კრიხელი,
მეორე ადგილი—ეკა ქურჩიშვილი
მესამე ადგილი—ინა ფიჩხაძე.

დასასრულს საღამოს მონაწილეებს ელოდათ ქაშერი ფურშეტი და ახალი წლის კალენდარი,რომელიც ყველამ მიიღო.

საღამოს მონაწილენი, სტუმრები ერთხმად აღნიშნავდნენ:

— ეს იყო თბილი, ორიგინალური , დაუვიწყარი საღამო—სოხნუთმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა ისრაელთან, გავგრძნობინა ჩვენი კავშირი ამ ქვეყანასთან, ერთმანეთთან.

ბედნიერ ქვეყანათა რეიტინგი

კოლუმბიის უნივერსიტეტის დედამიწის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 2013 წლის ბედნიერ ქვეყანათა რეიტინგი.. ამ რეიტინგს ადგენენ ეკონომისტები, ფსიქოლოგები, სტატისტიკისა და სხვა დისციპლინათა სერიოზული წარმომადგენლები. ამ რეიტინგში, რომელიც გაეროს ეგიდით ქვეყნდება, 156 სახელმწიფო შედის.

რეიტინგის შედგენისას ითვალისწინებენ შემოსავალს მოსახლეობის თვითოეულ სულზე,სიცოცხლის ხანგრძლივობას,გადაწყვეტილების თავისუფალი მიღებისა დაქვეყანაში კორუფციის დონეს,ის. თუ რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა ცხოვრებით და სხვ.

მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ქვეყანად აღიარებული იქნა დანია,მეორე ადგილზეა ნორვეგია, მესამეზე—შვეიცარია, შემდეგ ნიდერლანდები და შვეცია.

მეორე ხუთეულში არიან კანადა,ფინეთი,ავსტრია, ისლანდია და ავსტრალია. ისრაელი მე-11 ადგილზე გამოვიდა და გაასწრო აშშ-ს და ევრო კავშირის ბევრ ქვეყანას.

რუსეთი 68-ე ადგილს იკავებს.

ფოტო ლიკა კრიხელისა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №137

2013 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღნიშვნის მიზნით საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

1. ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის საიუბილეო (2014წ.) ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღნიშვნის საორგანიზაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ბიძინა ივანიშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ჯამლეტ ხუხაშვილი - სსიპ - დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის გადარჩენისა და აღორძინების საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, კომისიის თანათავმჯდომარე;

მირიანე ოდიშარია - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

ნოდარ ხადური - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

მაია ფანჯიკიძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

კონსტანტინე სურგულაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში;

მარინე მიზანდარი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

მანანა ბერიკაშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

გივი ღამბაშიძე - სსიპ - დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი (მუზეუმის აღორძინების, სამეცნიერო, საგამომცემლო, საქართველოში არსებულ ქართულ-ებრაულ ორგანიზაციებთან ურთიერთობათა მიმართულება);

დავით ბალუაშვილი - საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს წარმომადგენლობის თავმჯდომარე;

მერაბ ჩანჩალაშვილი - თბილისის მთავარი სინაგოგის გაბაი (სასულიერო მიმართულება);

ზაირა დავარაშვილი - კლუბ „26 საუკუნის“ დირექტორი, საქართველოს ებრაელთა საზოგადოებრივი გაზეთის „ჟამი ერთობისა“ თანარედაქტორი (ებრაულ ორგანიზაციებთან ურთიერთობათა მიმართულება);

ჯემალ სეფიაშვილი - კომპოზიტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი (ხელოვნების მიმართულება);

მიხეილ ჭიაურელი - კინორეჟისორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

მარიამ ლორთქიფანიძე - აკადემიკოსი;

ნოდარ ხუხაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული საგარეო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის წევრი;

ნიკოლოზ ყანდიაშვილი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი გეგეჭკორი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეფერენტი, კომისიის მდივანი;

ნინო აბესაძე - ისრაელის სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს - ქნესეთის ყოფილი წევრი.

2. ცალკეული საიუბილეო ღონისძიების ორგანიზების მიზნით, კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

3. კომისიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს არა უგვიანეს 2013 წლის 1 ოქტომბრისა წარუდგინოს ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებული წინადადებები და საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა.

ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს

ძვირფასო ბატონო ბიძინა!

არა-რა მოულოდნელი და გასაკვირი არ არის ის, რომ განსაკუთრებულ პატივს გცემთ. ამიტომ როგორც კი გავეცანი თქვენს ა.წ. 10 ივლისის 237 ბრძანებას ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის თარიღის (2014 წ.) აღნიშვნის თაობაზე, ამ წერილის მოწერა ჩემს მოვალეობად მივიჩნიე.

ეს ბრძანება კიდევ ერთხელ ადასტურებს: ებრაელობის მიმართ დიდი პატივისცემით ხართ გამსჭვალული და ამ იუბილეს გადახდით გწადიათ, კიდევ ერთხელ, თვალნათლივ გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება.

და მე ებრაელს, მწერალს, რომელსაც ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე არაერთი ნაწარმოები შემიქმნია, ეს ძლიერ მახარებს, მაგრამ აშკარა და თვალხილულია, რომ საკითხი თქვენს წინაშე არასწორად, ტენდენციურად დასვეს:

მომავალ წელს, მართლაც სრულდება 2600 წელი მას შემდეგ, რაც ნაბუქოდონოსორმა დაარბია იერუსალიმი და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ებრაელები მოვიდნენ საქართველოში.

„ქართლის ცხოვრებაში“ ისიც გახლავთ აღნიშნული, რომ ებრაელები ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეშიც მოვიდნენ ქართლში, მას შემდეგ, რაც რომაელებმა იერუსალიმი ააოხრეს, გადასწვეს სოლომონისეული ტაძარი. ხოლო კირიონ საძაგლიშვილი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ III) მიიჩნევს, რომ ებრაელები საქართველოში მოვიდნენ ასირიის შემოსევის შემდეგ, ე.ი. 2800 წლის წინათ.

გამოჩენილმა მეცნიერმა გიორგი მელიქიშვილმა ჯერ კიდევ XX საუკუნის შუახანებში გამოსთქვა მოსაზრება, რომ ებრაელები საქართველოში მოვიდნენ ჩვ. წ-მდე. III-II საუკუნეებში, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი კონსტანტინე ლერნერი შრომაში „ებრაელები საქართველოში“ ეთანხმება გიორგი მელიქიშვილის ამ მოსაზრებას და განმარტავს, ებრაელები საქართველოში მოვიდნენ ძვ. წელთაღრიცხვის მესამე-მეორე საუკუნეებში, ქართლისა და სელევკიდელთა სიუზერენების შეთანხმების შედეგად. მეცნიერის ამოსავალი წერტილი გახლავთ იოსებ ფლავიუსის წიგნში მოხმობილი სელევკიდელთა მეფის ერთი წერილი. ჩემს ახლახან გამოსულ რომანს „ერთი, მხოლოდ ერთი!“, რომელიც ქართლში ებრაელთა მოსვლას ასახავს, სწორედ ეს მეცნიერული ჰიპოთეზა დაედო საფუძვლად.

ზემოთ ნახსენები თარიღებიდან გამომდინარე, ქართველი მეცნიერები, ვფიქრობ, სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ებრაელები საქართველოში მოდიოდნენ ნაკადებად – იმის შესაბამისად, თუ რა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება იქმნებოდა იუდეაში. ასევე სახლდებოდნენ ისინი რეგიონის სხვა ქვეყნებში. 26 საუკუნეს ითვლის ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (ყუბის რეგიონი) დასახლებული ებრაელობა. ანალოგიური მდგომარეობა გახლდათ სომხეთში, (იქ ებრაელები მე-12 ს-მდე ცხოვრობდნენ.).

მეცნიერული მოსაზრებები ერთობ საინტერესოა, მაგრამ წერილს ამისთვის არ გწერთ. მთავარი სხვა რამ გახლავთ: მთავარია ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ ქართულ-ებრაული მეგობრობის 2600 წლოვანი იუბილე ერთხელ უკვე გადაიხადა. გადაიხადა ჩინებულად. ეს იყო 1998 წელს – აღიარებულ, მიღებულ თარიღზე („ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიის მიხედვით) 16 წლით წინსწრებით. მეცნიერთა, სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ მიჩნეული იქნა, რომ 2600 წლოვანი ისტორიის გრძელ მარათონზე 16 წლიანი წინსწრება, არა-რა როლს არ თამაშობს.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით შეიქმნა დიდი საიუბილეო კომიტეტი, რომლის წევრები გახლდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი, ებრაული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

იუბილე ჩატარდა 1998 წლის სექტემბერში, გამოიცა დიდი ლიტერატურა, მოეწყო გამოფენები, შეხვედრები, გვესტუმრნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ისრაელიდან ჩამოვიდა იმდროინდელი ვიცე-პრემიერი. პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს დელეგაციის პირველი თვითმფრინავი თბილისში დაეშვა, თავად ბინიამინ ნეთანიაჰუ კი თელ-ავივს დარჩა – გამოფრენის წინ გულის შეტევის გამო კარდიოლოგებმა მგზავრობა არ ურჩიეს. ამის სანაცვლოდ, იგი მოგვიანებით – 1999 წლის თებერვალში ჩამოვიდა საქართველოში.

ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის 2600 წლოვანი იუბილე ისრაელშიც აღინიშნა (1999წ.) – ჩატარდა ქართული კულტურის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების დიდებული მოღვაწენი, მთავრობის წევრები: სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კულტურისა და განათლების მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვ.

დღეს კი ამ თარიღის ხელახლა აღნიშვნა, სერიოზული დაფიქრების საგნად მიმაჩნია. ასე მეჩვენება, რომ ზოგიერთნი არასწორად სარგებლობენ ებრაელობისადმი თქვენი გულწრფელი პატივისცემით.

კარგად ვიცნობ მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებს და თითქმის ვხედავ, რაგვარი რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ამ იუბილეს ხელახლა გადახდას: გაჩნდება მრავალი ძნელად პასუხგასაცემი კითხვა, ისიც დასაფიქრებელია, იუბილეს ხელმეორედ გადახდა, რაგვარ გამოძახილს ჰპოვებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ამ წერილის პათოსს სწორად გამიგებთ,

ღრმა პატივისცემით: გურამ ბათიაშვილი
მსოფლიოს ებრაული კონგრესის
ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი, დრამატურგი
24 ივლისი, 2013 წელი

შალვა მარდი 80 წლისაა!!



მას სხვისი წარმატებების სიხარულის ფენომენალური ნიჭი გააჩნია.მასთან სრულიად ადვილად ამყარებ კონტაქტს და არ ჰგავს ადამიანს, რომელზეც წინასწარ იქმნი წარმოდგენას. პირიქითაც კი ხდება ხშირად, მისი უბრალოება მატყუარაა და შესაძლებელს ხდის სრულიად განსხვავებულ ურთიერთ გამომრიცხავ დასკვნებამდეც კი მიგიყვანოს. როდესაც მის, კოალიზიებით სავსე ცხოვრების საოცარ ისტორიას ეცნობი, ხვდები ,რომ ყოველ მის პირად, პროფესიულ თუ საზოგადოებრივ წარმატებაში, რაღაც სხვა დიდი ძალის ხელი ურევია.

უზომოდ ფართეა მისი ინტერესების სფერო. მისი აზროვნების სიღრმე განცვიფრებს თავისი მასშტაბითა და ყოვლისმომცველობით. მე ხშირად ისე მიადვილდება მასთან დიალოგი, რომ საკუთარი თავით დიდად კმაყოფილი, შესაბამისი სითამამით ვსაუბრობ საკმაოდ მაღალ მატერიებზე: ღირებულებისა თუ ფასეულობის მცნებებზე, რელიგიაზე, ისტორიაზე, მედიცინაზე და ა.შ. მას აქვს განსაკუთრებული უნარი, შექმნას ისეთი ნდობის ატმოსფერო თანამოსაუბრესათვის, რომელშიც სხვათა მიერ გამოთქმული აზრის თუ პოზიციის ფასეულობა ეჭვს არ იწვევს, პატარა მასთან დიდი ხდება.

ჩემი მასთან დაახლოება აქ, ისრაელში მოხდა. შემდეგ, მისი შორეული ნათესავიც აღმოვჩნდი, დედა სეფიაშვილ-მეგრელიშვილების ქალიშვილი, ისევე როგორც ბატონი შალვა, ლეჩხუმელი, ლაილაშიდან გახლდათ. მე დღემდე მახსოვს თუ რა სიხარულით შეხვდა ბატონი შალვა ჩემს კომპოზიტორობას. იგი მისთვის ჩვეული მყისიერი გადაწყვეტილებით, აქტიურად ჩაერთო ჩემი ისრაელის მუსიკალურ ელიტასთან პროფესიული დაახლოების პროცესში. ისე აღმოჩნდა,რომ ისრაელში მას მთელი კულტურული(და არა მხოლოდ) ელიტა იცნობდა. ისრაელის ლეგენდარულ კომპოზიტორ ნაომი შემერთან შეხვედრა მის სახლში, მისი მეუღლის — ქალბატონი როზმარის, წარმატებული ექიმისა და შესანიშნავი დიასახლისის, მიერ გაწყობილ ქართულ მაგიდასთან მოხდა. იქ დაიბადა ჩვენი ნაომთან ძალიან თბილი ურთიერთობა, რომელიც შემდეგაც გაგრძელდა და ეს ურთიერთობა ყოველთვის მარდისეული შუქით იყო სავსე.

გავიდა წლები, წელს შვეიცარიაში ქ.სიონის ფესტივალზე, ფესტივალის მიერ დაკვეთილი ჩემი ნაწარმოების „გზა სიონისკენ“ შესრულების პრემიერაზე საშუალება მომეცა სპეციალურად მომეწვია ბატონი შალვა სიონში,(როგორც მოგეხსენებათ, ის წლების განმავლობაში ცხოვრობს შვეიცარიაში) და გადამეხადა მისთვის მადლობა იმ უამრავი სიკეთისათვის რომელიც ასე გულუხვად ყოველგვარი ანგარების გარეშე მისთვის საამაყო ქართულ ებრაული თემის წინსვლისათვის გასცა.

დღესაც ბატონ შალვას 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მინდა ისევ მივცე თავს უფლება და ვუსურვო მას, როგორც შესანიშნავ ექიმსა და პიროვნებას: რამდენიც ერისთვის,საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმე გაუკეთებია, რამდენ იმედგადაწურულ ავადმყოფისთვის რეალური დახმარება გაუწევია, იმდენი ბედნიერებითა და სიხარულით სავსე დღე შემატებოდეს მას ქართველ ებრაელთა ერის საამაყოდ და სასიხარულოდ.

იოსეპ ბარდანაშვილი
კომპოზიტორი
ბათ იამი, ისრაელი

კვლავაც მარდად, ბატონო შალვა!

ამასწინათ შვეიცარიიდან მწერდა:

„ძვირფასო გურამ, მე დავიბადე ფურიმის პირველ დღეს, 1933წლის 14 მარტს სვანეთის მთებში, აქ ჩემი მშობლები მწყემსები იყვნენ.

დავიბადე ბოსელში-ძროხებსა და თხებს შორის.

9 მაისს წამიყვანეს ლაილაშში და 10 მაისს გაჩნდა ჩანაწერი ჩემი დაბადების თაობაზე, მანამდე ლაილაშში ვერ წამიყვანეს იმის გამო, რომ დიდი, გაუვალი თოვლი იდო. ჩემი წინაპრები სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში თითქმის 2600წელი ცხოვრობდნენ.,ბრწყინვალედ ლაპარაკობდნენ არამეულ ენაზე, სვანურად, სწავლობდნენ ლაილაშის იეშივაში.

ომის წლებში ქუთაისში გადმოვედით.

ჩემს საგვარეულოში მე ვარ პირველი ადამიანი, რომელიც ნორმალურ ქართულ სკოლაში სწავლობდა.

ასე რომ მე არა ვარ სტანდარტული კაცი.“

ბატონ შალვას დავუდასტურებ: იგი ერთობ არაორდინარული ადამიანია. ქართველ ებრაელობაში გამორჩეული, წინწასული, კოლორიტული პიროვნება.მივადევნოთ თვალი მის ბიოგრაფიას: ქუთაისიდან მიემგზავრება მოსკოვს, იქ სწავლობს მედიცინას. ბრუნდება ქუთაისში, გადადის ისრაელში, ეს დაუდეგარი მოუსვენარი ბუნების კაცი ისრაელიდან მიდის შვეიცარიაში, ხდება საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარი. მრავალი აკადემიის წევრი, ჩინებული წიგნების ავტორი ამ წიგნებს ბევრი მკითხველი ჰყავს, ყველა კითხულობს. ვეჭვობ, რომ ქართველი ებრაელობა კითხულობდეს, არადა, საინტერესოა, ერთობ საინტერესო.

ამიტომ დღეს, როდესაც შალვა მარდიმ რვა ათეულ წელს გადააბიჯა,როცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იღებს მილოცვებს, ულოცავენ აკადემიები, ევროპის, აზიის, თუ აშშ-ს სამეცნიერო წრეები, შეიძლება ვთქვათ: იგი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც ქართველ ებრაელობას სახელი და ღირსება შემატა. მისი სახელის ღირსეულად დაფასებისათვის მისი საქმენი იღწვოდა.

და ასევე მთავარი: იგი არასოდეს არავის აუგად არ მოიხსენიებს, რადგან სხვათა განდიდება არ აკრთობს: თავად არის ნიჭიერებით აღვსილი, სიკეთის ქმნის სურვილით დამუხტული, თავის სიკეთეს ყველას უწილადებს.ამქვყნიური სიამენი:პატივი, დიდება, განა მხოლოდ თავისთვის უნდა, ყველასთვის ემეტება. ამის სათავე კი ნიჭია.

მისი სიცოცხლის ერთ-ერთ ელექსირად ესეც მიმაჩნია. ამიტომაც არის მხნედ.

ამიტომაც შალვა მარდი მარდად დააბიჯებს დედამიწაზე.

მჯერა, კვლავაც დიდხანს და მარდად ივლის.

რადგან ის რაც მოუპოვებია, მხოლოდ თავისი შრომით, ნიჭით.

გურამ ბათიაშვილი

„ლიტერატურა დევნილობაში“

თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამართა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებზე („ლიტერატურა დევნილობაში“. ემიგრანტების მწერლობა. მე-20 საუკუნის გამოცდილება), რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა.

კონფერენციაზე პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის თავმჯდომარეობით მუშაობდა სექცია „ქართულენოვანი ლიტერატურა ისრაელში“. ამ სექციაზე მოისმინეს ისრაელის არიელის უნივერსიტეტის პროფესორის რუბენ ენოხის (ენუქაშვილის) მოხსენება „ქართველი ებრაელები და ისრაელის ქართველოლოგია“.

რუბენ ენოხმა ამ მოხსენებით კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ისრაელში მოღვაწე ის მეცნიერები (ისრაელელებიც და წარმოშობით ქართველი ებრაელებიც), რომლებმაც სერიოზული წვლილი შეიტანეს ქვეყანაში ქართველოლოგიის განვითარების საქმეში, ან რაღაც შემატეს ამ დარგს. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ნათან ელიაშვილის, იცხაკ დავიდის, კონსტანტინე ლერნერის, გერშონ ბენ ორენის შრომებზე.

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორისა და პოეტის ომარ გვეტაძის მოხსენების თემა კი გახლდათ ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელი პოეტები (ჯემალ აჯიაშვილი), მომხსენებელმა გაანალიზა ჯ. აჯიაშვილის პოეზია, წარმოაჩინა მისი ღირსებები, ისაუბრა შუასაუკუნეების ესპანეთში მოღვაწე პოეტების თარგმანებზეც.

ნესტან კუტივაძის მოხსენების თემა გახლდათ, „ისრაელის ქართულენოვანი მწერლობის უმთავრესი ტენდენციები“.

მომხსენებელი კარგად გასცნობია ისრაელში გამომავალ ქართულენოვან წიგნებს და თითქმის ყოველი ავტორის შემოქმედება მიმოიხილა.

კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ ინგლისელი, ამერიკელი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, ყაზახი, აზერბეიჯანელი, თურქი, ფრანგი, პოლონელი, ირანელი, გერმანელი, ყირგიზი და სხვ. ქვეყნების მეცნიერები.

ვარშავის უნივერსიტეტი თბილისში

ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კავკასიის განყოფილებაში შეიქმნა პროექტი „საქართველოს ებრაელობა“. სამი სტუდენტი გოგონა სწავლობს საქართველოს ებრაელობის ისტორიას, ტრადიციებს. ამასთან დაკავშირებით სტუდენტები მატგორზატა ზავადსკა, იულია ჩერემუკჩინა და იოანა ბერეზკა იმყოფებოდნენ საქართველოში. თბილისში ისინი იყვნენ ებრაულ სახლში, ბეით ქნესეთებში, შეხვდნენ მწერალ გურამ ბათიაშვილს, ხელოვნებათმცოდნე ლელა წიწუაშვილს.

საქართველოს ებრაელობის უფრო სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტები ჩავიდნენ ახალციხეში, სურამში, ბათუმში, ქუთაისში, ონში, კულაშში.

ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტობის ასეთი დაინტერესება საქართველოს ებრაელობით მრავლისმეტყველია.

აშშ 20 ახალგაზრდა მილიარდერიდან 12 ებრაელია

ჟურნალმა „ფორბსმა“ აშშ-ს 400 უმდიდრესი ადამიანიდან 20 ახალგაზრდა გამოჰყო. ამათგან 12 ებრაული ფესვები აქვს, თუმცა, ყოველ მათგანს როდი მიუღია ტრადიციული ებრაული განათლება. საყურადღებოა, რომ უმდიდრეს ებრაელ ახალგაზრდათა უმეტესმა ნაწილმა ქონება მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით კი არ მიიღო, არამედ თავად შეჰქმნეს წარმატებული ტექნოლოგიები, ან საფინანსო ორგანიზაციები.

აი, „ფორბსის“ ვერსიის ტოპ ოცეული.

1. **დასტინ მოსკოვიცი** — 29 წლის, 5,2 მილიარდი
2. **მარკ ცუკერბერგი** —29 წლის,19 მილიარდი
3. **სკოტ დუნკანი** —30 წლის, 5.5 მილიარდი.
4. **შონ პარკერი** — 33 წლის, 2 მილიადი.
5. **როგერტ პერა** — 35 წლის,1.95 მილიარდი,
6. **ჯეკ დორსი** — 36 წლის,1.3 მილიარდი
7. **ნიკ ვუდმანი** — 38 წლის, 1.3 მილიარდი,
8. **ჩეიზ კოულმანი** — 38 წლის,1.4 მილიარდი
9. **ჯონ არნოლდი** — 39 წლის, 2.8 მილიარდი,
10. **სერგეი ბრინი** — 40 წლის, 24.9 მილიარდი,
11. **ლარი პეიჯი** — 40 წლის, 24.9 მილიარდი,
12. **კევინ პლანკი** — 41წლის,1.7 მილიარდი,
13. **მაიკლ რუბინი** — 41წლის, 2.3 მილიარდი,
14. **დენიელ ზიფფი** — 41წლის, 4.6 მილიარდი,
15. **ილონ მასკი** — 42წლის, 6.7 მილიარდი,
16. **ერიკ ლეფკოფსკი** — 44 წლის, 1.75 მილიარდი,
17. **მილან ფრანცი (დუნკანი)** — 44წლის, 5.5 მილიარდი,
18. **დევიდ ეინხორნი** — 44 წლის 1.4 მილიარდი,
19. **ჯერი იანგი** — 44 წლის,1.7მილიარდი,
20. **კენ გრიფინი** — 44 წლის 4.4 მილიარდი.

იძულებით გადაადგილებულ პირებს ისრაელის სარწყავი სისტემები გადაეცათ

2013 წლის 25 სექტემბერს, ისრაელის საელჩომ საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის, MASHAV–ის მეშვეობით, ისრაელის საირიგაციო კომპანია "ნეტაფიმთან" და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივასთან (NEO/USAID) ერთად განახორციელა პროექტი "იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება ბოსტნეულის წარმოების სფეროში თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით".

ღონისძიება გაიმართა შიდა ქართლის სოფელი ხურვალეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში და მას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, დავით დარახველიძე, ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი, ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი, "ნეტაფიმის", USAID–სა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პროექტის ფარგლებში ფერმერებს ისრაელში წარმოებული 45 თანამედროვე წვეთოვანი სარწყავი სისტემები გადაეცათ, რაც მათ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საშუალებას მისცემთ.

საქართველოში არსებული წარმომადგენლობის, "ბარ–ლევ–ნეთ გრუფის" მეშვეობით, ისრაელის საირიგაციო კომპანია "ნეტაფიმი" ჩაატარებს ტრენინგს და დაამონტაჟებს სარწყავ სისტემებს ოჯახებში, რომლებიც ახალი ეკონომიკური ინიციატივის (USAID/NEO) მიერ იქნა შერჩეული. პროექტში მონაწილეობს კომპანია "ეკო ფარმი", რომელიც მოსავლის აღების შემდეგ პროდუქციის შესყიდვის ვალდებულებას იღებს.

"დღევანდელი პროექტის მიზანი იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების გაუმჯობესებაა. იმედია, მსგავსი საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოს მთავრობისგან დიდ თანადგომას ვგრძნობთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, ამერიკის საელჩოდან, ახალი ეკონომიკური ინიციატივიდან და "ნეტაფიმიდან". ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი დღე პოლიტიკური ღონისძიება არაა, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა ადმინისტრაციული საზღვრიდან ძალიან ახლოს ვიმყოფებით. არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, რომ ისრაელის სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს და მომავალშიც ასე იქნება. ბოლოს, დავძენ, რომ უკეთესია, გავზარდოთ ბოსტნეული, ვიდრე გამყოფი ღობეები საზღვრებზე".

დღევანდელი პროექტი გაგრძელებაა "მაშავსა" და "ნეოს" თანამშრომლობისა, რომლის ფარგლებშიც 2013 წლის აგვისტოში დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში ტრენინგები ჩატარდა.

იდეა და პიროვნება

გაზეთი „დავითის ფარი" 10 წლისაა



მინდა მკითხველს ერთი რამ ვთხოვო: წარმოიდგინეთ, რომ შესცქერით ყანაში სიმინდის გასამარგლად მიმავალ კაცს. მაგრამ ამ კაცს თოხი არ უჭირავს ხელში. ან უფრო თანამედროვე ყოფიდან: ადამიანი ჯდება მანქანაში – საჭესთან. მანქანის გასაღები კი არა აქვს – დაკარგა, ან სადღაც დარჩა. წარმოიდგინეთ? ძალიან კარგი!

ახლა კი მინდა უფრო რთული რამ წარმოიდგინოთ: ის უთოხო კაცი ყანაში შევიდა და სიმწიფეში შესულ მოსავალს სარეველას აცლის, თოხნის კიდეც.

აი, ის, მეორე – საჭესთან მჯდარი კაცი, მანქანის გასაღები შინ რომ დარჩა, თუ დაკარგა, მანქანას ქოქავს.

ყანაში სიმინდი ბიბინებს.

მანქანა ტრასაზე გადის და კილომეტრს-კილომეტრზე ფარავს.

აი, ამგვარი კაცია სიმონ კრიხელი: თოხი არ ჰქონდა და ყანა სარეველასაგან გაწმინდა, გასაღები არ ჰქონდა და მანქანა დაქოქა – დაძრა და ახლა ტრასაზე მიარონინებს.

ვიცი, კარგად ვიცი, ამჟამად სიმონ კრიხელის იუბილე არ არის – გაზეთ „დავითის ფარს" შეუსრულდა 10 წლისთავი და არა სიმონ კრიხელს ასი წელი, მაგრამ მე კაცსა და მის საქმეს ერთმანეთს ვუკავშირებ. კაცი იგივეა, რაც მისი საქმეა ე.ი. რასაც აკეთებს და როგორც აკეთებს. პიროვნება ქმნის საქმეს და საქმე ქმნის პიროვნებას.

სიმონ კრიხელის ცხოვრების მთავარი საქმე – გაზეთ „დავითის ფარის" გამოცემა და არსებობა ადამიანურ მამაცობად მიმაჩნია.

ჩემი სტუდენტები ხშირად მეკითხებიან: გაზეთი რა არის, როგორ დაიწყოო გაზეთის არსებობა. შორეულ საუკუნეებში ამათუ იმ ინფორმაციას დაფებზე ამოკვეთდნენ, იმ დაფებს გზაჯვარედინებზე დგამდნენ და ადამიანები იგებდნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ამბებს. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, ვიდრე გუტენბერგი სასტამბო საქმით გადატრიალებას მოახდენდა, ხელით დაწერილ ინფორმაციას ავრცელებდნენ. მთავარი ინფორმაცია იყო, თუ რომელი გემი როდის შემოვიდოდა ნავსადგურში და რა საქონელი მოჰქონდათ თან. ე.ი. ვაჭრობის განვითარებამ აუცილებელი გახადა ინფორმაციის მიწოდება და ადამიანებმაც მონახეს საამისო გზა.

იმ საინფორმაციო ფურცლებში ხურდა,წვრილ ფულს–გაზეტეს–იხდიდნენ.

თოხი ხელში არ ეჭირა, გასაღებიც სადღაც დარჩა, ან სულაც დაკარგა-მეთქი, ვთქვი სიმონ კრიხელზე, ე.ი არც სათანადო პროფესიული ცოდნა ჰქონდა, არც –გამოცდილება – გაზეთი არასოდეს უკეთებია, წაუკითხავს მხოლოდ. კაბინეტი, მდივანი (ყავა რომ მოუდუღოს და რედაქტორთან შეხვედრის მსურველ ადამიანს უთხრას ,,რედაქტორი ძლიერ დაკავებულია, უახლოესი სამი დღე ვერ მიგიღებთ") არ უძებნია. დაჯდა და დაიწყო იმ საქმის კეთება, რომელიც ესოდენ აუცილებლად მიაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, საბჭოური ძონძებით კი არ წავიდა ამერიკაში, ცხოვრების ურთიერთობის იქაურ წესით შეუდგა საქმეს. გარემომცველმა სამყარომ, ყოფამ უკარნახა იდეა და იწყო იდეის განხორციელება. ეს კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს: ცხოვრების მამოძრავებელი არის იდეა და ადამიანი, რომელსაც ძალუძს იდეის ხორცშესხმა.

ათი წელიწადია გამოდის ,,დავითის ფარი",ე.ი ათი წელიწადია კეთდება საქმე, რომელიც ჩვენგან ნიუ-იორკში ემიგრირებულ ებრაელობას სჭირდება..

მხოლოდ მას?

ეს გაზეთი ჩვენც გვჭირდება – ამერიკიდან შორს მცხოვრებ ებრაელობას. როცა ამ გაზეთს ვეცნობი, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს დღესაც იქა ვარ – ქვინსში, იმ შესანიშნავი ადამიანების წრეში. სწორედ ,,დავითის ფარის" მეოხებით ვტყობილობ, თუ როგორ ცხოვრობს დღეს ამ ქალაქის ქართველი ებრაელობა, ისევ ჩამესმის ყურში რაბი აბრამ აშვილის ხმა – იგი კვლავაც ჩვენებური ნიგუნით ლოცულობს, ისევ ვისმენ სოსო ჯინჯიხაშვილის ხმადაბალ, შთამაგონებელ საუბარს და ვხედავ მანანა ჯინჯიხაშვილის გაბრწყინებულ თვალებს. ისევ ბ-ნი კოკი სეფიაშვილის, ნოდარ პარლაგაშვილის ოჯახურ გარემოცვაში ვარ და ვსაუბრობთ ჩვენს წარსულზე, დღევანდღელობაზე.

ზოგჯერ სხვის ომში მებრძოლი, სხვათა დაკრულზე მოხტუნავე კაცთა სახეებსაც ვხედავ. შევცქერი ამ სახეებს და ვფიქრობ: ოთხმოცს გადაცილებული კაცი სხვის დაკრულზე რად უნდა კუნტრუშებდე? ან იქნებ, ჩვეულება ვერ მოიშალე და დღესაც ისევე წერ მავანის განმაქიქებელ წერილს, როგორც ადრე, საქართველოში ყოფნისას მისწერდი ,,ობხეესს" (არ ვიცი სწორად დავწერე თუ არა, მაგათ უკეთ ეცოდინებათ და შეუძლიათ შემისწორონ) ამ კაცთან ასე და ასეა საქმეო. არ ვიცი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მათი დღევანდელი წერას ატანილობა ასეთ ფიქრს უთუოდ აღძრავს.

ამ გაზეთიდან სასიამოვნო ინფორმაციასაც ვღებულობ და უსიამოვნოსაც: მრავალი ადამიანის სახე ვიხილე შავ არშიაში, მაგრამ ვაი, რომ ცხოვრებას ესეც ახლავს.

იუბილეზე სურვილებსაც გამოსთქვამენ. მეც მაქვს სურვილი ,,დავითის ფარის" მიმართ:

ა) მინდა მეტი იყოს ქართულენოვანი მასალა,

ბ) მინდა მეტი იწერებოდეს ნიუ-იორკის ქართველი ებრაელობის ცხოვრებაზე.

ვიცი, არც ერთი და არც მეორე სურვილის ასრულება მხოლოდ რედაქტორის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა და ალბათ, საამისო საშუალებაც მოგვეცემა.

მთავარი კი ის არის, რომ გაზეთი არსებობს და ის, რაც არსებობს, მომავლის გზასაც მონახავს. თეოდორ ჰერცლი ამბობდა: ,,მხოლოდ მიცვალებულები და იდიოტები არ იცვლიან აზრს." ეს კი იმას ნიშნავს, მომავალ ათწლეულში ამ გაზეთის ცხოვრებაშიც ბევრი რამ გაუმჯობესდება. ამის გარანტი სიმონ კრიხელის დაუღალავი შრომაა.

გურამ გათიაშვილი

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია

იცხაკ დავიდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „მ“ №6, 7, 8)

იეჰოშუა ლაპარაკობს ახალ კონცეპტზე მიკრობა-მიერთება-მირწყმაზე ანუ დევეკუთ-ზე, რომელმაც შინაარსობრივად ახალი, გაცილებით მეტი დატვირთვა მიიღო შემდგომ ებრაულ მისტოლოგიურ შეხედულებებში.

ეს ის პერიოდია, როცა ზღვაოსანი ფელიშთიმური ტომები მოდიან ხმელთაშუა ზღვის კუნძულებიდან და ისტორიული ერეც — ისრაელის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში (ღაზა-აშკელონი-აშდოდი) ცდილობენ დასახლებას.

იწყება ახალი ეპოქა მსაჯულებისა (ძვ. 1200-1020 წწ.. დებორა გიდ'ონი) და თითქოს განგების აპოკალიპტური ძალა თვითშეკუმშვას განიცდის, დაპარაკია ახლა ანგელოსზე ღ-ისა (მსაჯ. 2:1 6:11 6:22 13:6), რომელიც განაგებს ისრაელთ მსახულთა ხელით (იქვე 2:16 3:9 6:8) საუბარია ღ-ის სულზე (რუახ), რომელიც გარშემოიცავს ანუ ეუფლება გიდ'ონს (6:34 7:4, იფთახს 11:29, შიმშონს 13:25, შემუელის დედას ხანას (შემ.. 1. 1:13 15:22 28:13) თუმც მაინცაა მინიშნება „გამოცხადებაზე“ — ნიგლო, ნიგლეთი ვკითხულობთ მემულეთან (1. 1:27) სწორედ იმ დროს, როცა „და სიტყვა იჰვჰ-ის ძვირ — იშვიათი (იაკარი) იყო იმ დღეებში... “ (3:1).

ღ-ი ეცხადება და ესაუბრება შემუელს (3:4.7 15:21), ფელიშთიმელებს უკვირთ რა ხდება ივრი|იბ(ე)რი-ელთა ბანაკში, ხელს იშვერენ მათი ძლიერი რ-სკენ (ელოჰიმ ადირიმ), რომელსაც ჰყავს საკ. მჭვრეტელნი თუ ნათელმხილველნი. (შემ.|. 9:9. 19 10:6)

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეთნიკური ტერმინი „ივრი“, მიუთითებს როგორც ისრაელზე, ასევე იეჰუდაზე (13:3, 7 29:3) თვით დავიდიც წოდებულია 'ევერ (26:13).

ამიერიდან სცენაზე გამოდის დავიდი, რომელსაც ეუფლება სული ღ-ისა (ვათიცლახ რუახ იჰვჰ ელ დავიდ. 16:13 17თ45 30:6) და პირიქით შაულს ეუფლება სული ბოროტი (18:10 19:23), დავიდის სულგრძელობა შაულისადმი ლოგიკურიცაა და მიზანსწრაფულიც, მისთვის იგი რჩება ხელმწიფედ — ღვთაების მიერ ცხებულად 24:10).

შუასაუკუნეების კაბალამ ბრწყინვალედ გამოიყენა შემუელისეული პარაფრაზი (25:29 ვეჰათა ნეფეშ იჰვჰ ცრურა ბიცრორ ჰახაიმ... რაც ნიშნავს „და იქნება სული იჰვჰ-სი ჩაკვანძული სიცოცხლისეულ კვანძში“.

ე.ი. როცა პირველ შემთხვევაში სული ჩაკვანძულია ღ-ის სიცოცხლისეულ საკვანძულში, ხოლო მტრებისა ამოგდებულ იქნება და ა.შ.

საერთოდ, იუდაიზმი მიამიტი, გულუბრყვილო რწმენის რელიგიაა, აკი დავიდი თავის სამადლობელო ელოგიაში ასეც აცხადებს „და ვიქნები სრული, მიამიტი მისთვის (შემ.||. 22:24) ასევე ღვთაება — გზა მისი მიამიტია ||.22:31 23:2).

დავიდის მეფობას (ძვ.წ. 1004-965) მოჰყვება შელომოს ხელმწიფობის ხანა, როცა ადგილი აქვს გეოპოლიტიკური ცნების 'ევერ! 'ებერ-ის გაფართოებას.

მეფეთა წიგნში პირდაპირი მინიშნებაა 'ევერ-ჰანაჰარზე ანუ მდინარის-მიღმა ქვეყნებსა და ხელმწიფეებზე, რომლებიც 'ევერ| ებერ| იბერებად იქნენ წოდებულნი შემდგომში (მეფ., |. 5:4).

ხსენ. პერიოდს უნდა დავუკავშიროთ საერთო იბერიული ექსპანსია ხმელთაშუაზღვეთში, შავიზღვისპირეთში, ჩრდ. ჰიბერნია-სკანდინავიეთში თარშიშ-თართოსსა და შორეული აღმ.-ის ოფირისაკენ.

შელომოს დროს ხდება იჰვჰ-ს კულტის ლოკალური საკრალიზაციაც მისთვის სამუდამო სავანებლის (მიშქან) აშენებით. ამჯერად, ახალი პრინციპული კრიტერიუმი შემოდის რწმენით კომპენდიუმი. მოთხოვნა ადამიანისგან იყოს „შალემ'იმ იჰვჰ...“ ანუ სრული. მთლიანი იჰვჰ-სთან (იქვ. 8:61).

არენაზე გამოდის ელიაჰუ (ელია) წინასწარმეტყველი თუშბადან (მეფ. 17:1, 22 18:12 24:37) საგულისხმოა მისეული აღწერა აპოკალიფსისა (მეფ.|.19:11-12) „და აგერ იჰვჰ გადაივლის და ქარი დიდი და ძლიერი შლის მთებს და ამსხვრევს კლდეებს იჰვჰ-ს წინაშე, არა სულითა იჰვჰ-სი და ქარის შემდეგ გრგვინვაა, არა გრგვინვა იჰვჰ-სი და გრგვინივის შემდეგ ცეცხლია. არა ცეცხლი იჰვჰ-სი და ცეცხლის შემდეგ წმინდა დუმილის ხმაა.“

წმინდა დუმილის ხმა ის მისტიკურად დამუხტული ცნებაა, რომელიც ყველა სახის წინასწარმეტყველების წინამდგომარეობით განწყობილებას ქმნის.

თვით შინარსობრივი კონტროვერსიალობაა აქ საცნაური „დუმილის ხმა“ ლოგიკურად განა კი აქვს დუმილის ბგერადობა ან ხმა?! მაშ რაღა სახის დუმილთანა გვაქვს საქმე? ხომ არ არის ეს „შავი თოვლის“ ანალოგია. პასუხიც არა ნაკლებ ლოგიკურია ისეთი ბრწყინვალე ისრაელი წინასწარმეტყველის პირიდან, როგორიც ელიაჰუ იყო. „დუმილი“ ის მომამზადებელი რეალიაა, რომელიც განაპირობებს ღვთაებრივი რეველაციისას საწინასწარმეტყველო „ხმის“ გამოცემასა და მოსმენას. ასეთი დუმილის გარეშე შეუძლებელია წინასწარმეტყველების თვით აქტიც კი. სიმპტომატურია ლექსიკურ- ტიპოლოგიურად ქართველ. ძირის |დუმ|-ს მსგავსება ებრ.-ფინიკ.ძირ |დომემ|-თან. ისრაელურ-იუდეური ორსახელმწიფოობის (ძვ. წ. 928-585) პერიოდში იეჰუდას მეფე იეჰოშაფატი (ძვ.867-846) ასეც აცხადებს „ვიხილე იჰვჰ. ზის თავის ტახტზე...“ (მეფ .|. 22:19) იგი განიზრახავს თავის დიდპაპა შელომოსავით თარშიშის გემების გაგზავნას ოფირში. ოქროს ჩამოსატანად (იქვ. |. 22:49).

შესაძლოა ელიაჰუ არის ის ერთადერთი წინასწარმეტყველი, რომლის აჭრა-აღზევებაც ცაში, დამოწმებულისამებრ, მოხდა ქუხილით „ბასე არა“ (იქვ.||. 2:1, 11) შემთხვევითი როდი იყო, რომ მომდევნო ებრაულმა სარწმუნოებრივმა ტრადიციამ დღემდე შემოინახა მისი ცოცხალი სახე. ვითარც პირისა, რომელიც ყველგან არის, ყველგან სუფევს და ყველა მოკრძალებითაა მისდამი განწყობილი, ეს სახე ფართოდ დამკვიდრდა აგრეთვე ისლამსა და ქრისტიანობაშიც.

ელიაჰუს სულთცხადებულობა გადაეცა ელიშას (მეფ.||. 2:9 4:34, 35).

სავსებით ახალ, საოცრად მისტიკურ-რეველაციურ ეტაპს შეადგენს უდიდესი წინასწარმეტყველის იეშა'იაჰუს მოღვაწეობა. ესაა უპირველეს ყოვლისა ადამიანი, ქადაგი, პოეტი, ერისთვის თავგანწირული მანუგეშებელი, ზოგჯერ კი მტუქსავი მოძღვარი. ჩვენი ვარაუდით ჭეშმარიტი ებრაული მესიანიზმის ფუძემდებელი.

მისი მსოფლმხედველობის დვრიტას ორი ცნება შეადგენს: სამართალი და ქველმოქმედება (მიშფატ - ცედაკა) (1:28 5:16 32:17).

აი, იეშაია შეიძლება ჩაითვალოს ლიადელი შნეურის უშუალო წინამორბედად სიბრძნე-გონება-საზრისებრი კაბალის ჩამოყალიბებაში. წინასწარმეტყველის თანახმად მაშიახი მესია, რომელიც დავიდის შთამომავალთაგან გამოვა. მას იჰვჰ-ს სული (რუახ) დაეუფლება. სული გონებისა, რჩევისა, სიძლიერისა, ჭკუისა და მოშიშობისა (11:1) ესაა ფაქტიურად ხ.ბ.დ.-ის ხასიდური მისტიციზმის შორეული კონცეფციური წინამორბედი.

იეშაია კარგად სცნობს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ვითარებას, აგერ, მიდიატროპატენას გადასწვდა იგი (13:17 21:2) ანდა |გოი კავ-კავ|-ის ეთნონიმური ცნება ავიღოთ ერი კავ-კავ-ისა“ (18:3), არარატი-ურარტუ (37:38), თქარშიშ-იბერია (23:5-12) და ა.შ.

იეშაია მისტიურად წარმოსახავს სახელს იჰვჰ-სას. შორიდან მომავალი (30:27 42:8) მხსნელი ერთადერთია (43:11).

იეშაია ერთერთი პირველი წარმოგვიდგენს იერარქიული სახით ზოჰარიაცირასულ სამყაროთა სტრუქტურასაც — ბრია-იეცირა-ასია (43:7).

ღვთაებაა პირველი და უკანასკნელი (44:6), არავინაა მის გარდა (45:7) ისაა მქმნელი მშვიდობისა და ა.შ.

იეშაია ბრწყინვალედ წყვეტს ღ-თთან კავშირის საკითხსაც მისი კონცეპტუალური სექსუალიზაციით (ლადა'ათ) ზმნის საფუძველზე — „შეცნობა, ცნობა, შემეცნება“.

ღვთაება იჰვჰ უწყრება ისრაელთ — „ლო იედა — თანი“ — არ შეგიცვნივართ მე. ეს სწორედ ის ზმნური ფორმაა, რომელიც მთელი ბიბლიური ნარაციის გაყოლებაზე აღნიშნავს ნიშანდობლივ სექსუალურ — ეროტიულ კავშირ-შეუღლებას. აბა გავიხსენოთ შესთავაზეს „ვაიედა ადამ ეთ იშთო“ და შეიცნო ადამმა ცოლი თვისი... ე.ი. ნამდვილი ცნობა — შემეცნება ფიზიკურ-სექსობრივი მირწყმის ანალოგიურია. ამრიგადვე ადამიანის შერწყმა ღ-თთან, ისევე არის დამუხტული და აღსავსე სქესობრივ-ეროტიული ჟინით, როგორც საკუთრივ ქალისა და კაცის სქესობრივი აქტი. (45:4 - 6).

ამ ეტაპზე მოხდა კონცეპტუალური გადატრიალება იუდაიზმში და ღვთაებრივი რეველაციის ახალ-საფეხუროვანი, მისტიკურ-ეროტიული შემეცნების დასაწყისი.

ღ-ი იეშაიას პირით მიმართავს ისრაელთ და ეუბნება „განა კი ვის მიმასგავსებთ და მადარებთ, წარმომიდგენთ და წარმომსახავთ“ (46:5). აქ ცხადადაა მინიშნება ღ-ის მიუწვდომლობაზე. მისი ფორმობრივ-სახიერებითი წარმოდგენის შეუძლებლობაზე. ოდნავ ქვემოთ 54-ე თავში პირდაპირაა ლაპარაკი ღ-ისა და ისრაელის უშუალო სქესობრივ — მცნობელობით კავშირზე. აქ ნახმარია არა ეფემისტური ცნება — ზმნა (ლადა'ათ) — ცოდნა, არამედ უშუალოდ (ლივ'ოლ, ბო'ალაიხ) — სექსუალ. აქტის ჩამტარებელი. სქესობრივი ფაქტორი. ამასთან ისრაელი დედრ. ფაქტორის როლში გამოდის.

(გაგრძელება იქნება)

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი
ავიშაი ბათაშვილი

ლეხ-ლეხა

პირველი რამ, რასაც თორა გვიამბობს პირველ ებრაელზე - აბრაჰამ ავინუზე ბრძანებაა, რითიც ჩვენი ფარაშა იწყება: „და უთხრა აბრამს უფალმა, წადი“. მთელი ამ ფარაშის სახელწოდებაც („ლეხ-ლეხა“), “წადი“-ა.

წესისამებრ, თორა რომ მარადიულია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი ებრაელისათვის მარადიული მითითებაა. ბრძანება „წადი“ გვასწავლის, რომ პირველი და მთავარი რამ, რაც ებრაელს ევალება - წასვლაა; ყოველთვის მოსიარულე მდგომარეობაში ყოფნაა, რათა წინ წაიწიოს, აღზევდეს.

ფარაშას რომ გკითხულობთ, ვხედავთ, რომ სანამ უფალი აბრაჰამს უბრძანებდა „წადი“, მას რაღაც შეემთხვა, რაც თითქოსდა სიარულისა და აღზევების საპირისპიროა: „და იყო შიმშილი ქვეყანაში და ჩავიდა აბრაჰამი ეგვიპტეში“. აბრაჰამი იძულებული გახდა შიმშილის გამო ისრაელის ქვეყნიდან გასულიყო და ეგვიპტეში ჩასულიყო. ეგვიპტეში ჩასვლამ სარას ფარაონის სახლში წაყვანაც გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ კურთხეულმა უფალმა სარა არასასურველი შემთხვევებისგან დაიცვა, ფარაონის სახლში მის წაყვანაში თავისებური დაქვეითება და მწუხარებაც არის.

აქ ისმის კითხვა, ეს ჩასვლა როგორ ხდება ბრძანება „წადი“-ს პარალელურად და შედის იმ ფარაშაში, რომლის სახელწოდება და შინაარსიც „წადი“-ა, იმ გაგებით, რომ ეს წარმატებისკენ წასვლას უნდა ნიშნავდეს?

ეს ეხება აბრაჰამის ეგვიპტეში ჩასვლასაც: ეს მართლაც დაქვეითებაა; მაგრამ ამ საკითხის შინაგანი არსის მიხედვით ეს დაქვეითება, ჩასვლაც ასვლისა და „წადი“-ს ნაწილია. ამ ჩასვლის მიზანი უფრო მაღლა ასვლისთვის მიღწევა იყო, რაც რეალურად მოხდა - „და ამოვიდა აბრაჰამი ეგვიპტიდან... საქონლის ჯოგით, ვერცხლითა და ოქროთი ფრიად დამძიმებული“.

როგორც აბრაჰამ ავინუს შემთხვევაში ჩასვლა ასვლის ნაწილი იყო, ამაში მომავალი თაობებისთვის მითითებაც არის, რომ გალუთის დროის ჩასვლა, რაც ყველაზე დიდ და უზარმაზარ დაქვეითებად გამოიყურება, თავისი შინაგანი არსით მაღალ და ამაღლებულ ასვლას შეიცავს. რამეთუ ზუსტად მისი საშუალებით აღწევენ მესამე ბეთ-ჰამიკდაშს, რომელზეც ნათქვამია: „დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდებულება პირველზე“.

როგორც აბრაჰამ ავინუს შემთხვევაში დაქვეითება აღმავლობის ნაწილი იყო, ამგვარად მასში მომავალი თაობებისათვის მითითებაც არის, რომ გალუთის დროის დაქვეითება, რაც ყველაზე დიდ და უზარმაზარ დაქვეითებად გამოიყურება, მის შინაგან არსში შეიცავს მაღალ და აღზევებულ ასვლას, რამეთუ ზუსტად მისი საშუალებით აღწევენ მესამე ბეთ მიკდაშს, რომელზეც ნათქვამია: „დიდი იქნება ამ ბოლო სახლის დიდებულება პირველზე“.

როდესაც იმ სამყაროს მდგომარეობას ვაკვირდებით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელიც ყოველდღიურად ძლიერდება, შესაძლოა სასოწარკვეთილებამ შეგვიპყროს და საკუთარ თავს ვკითხოთ: როგორ შეიძლება ეს სიბნელე დავძლიოთ და ეს სამყარო თორისა და მიცვების შუქით გავანათოთ?

ამისი პასუხი აბრაჰამ ავინუს ეგვიპტეში ჩასვლის ამბავია: მხოლოდ გარეგნულად არის ეს მდგომარეობა დაქვეითება და კურთხევის საპირისპირო. საკითხის შინაგანი არსით, ვინაიდან საბოლოოდ კურთხეული უფალი განაგებს ამ სამყაროს, ეს დაქვეითებაც, ჩასვლაც ასვლისა და ამაღლების ნაწილია, რომლის საშუალებითაც ქვეყნიერება მაღლდება და იწმიდება და ამ მთელი სიბნელის მიზანი სულ მალე, ჩვენს დღეებში სრული გეულის შუქამდე მიღწევაა.

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

ია ეკალაძე

(წერილი მეთოთხმეტე)

ქართველ ებრაელთა ბედით ქართული მწერლობის წარმომადგენელთა დაინტერესება არა მარტო მათ შემოქმედებაში პოულობს სათანადო გამოვლინებას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც. იმ მწერალთაგან, რომელთაც XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გააკეთეს ფასეული და მნიშვნელოვანი, უსათუოდ უნდა დავასახელოთ ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილი მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი იაკობ ფანცხავა (1872-1933 წწ.).

ებრაული პრობლემებისადმი ინტერესი ყველაზე მეტად მან 1915-1917 წლებში, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორობის პერიოდში, გამოავლინა. ქუთაისში გამომავალი ეს გაზეთი ფაქტობრივად პირველი ქართული პერიოდული ორგანო იყო, რომელმაც ქართველ ებრაელთა იმჟამინდელ ეროვნულ და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემათა განსჯა-გაანალიზება განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცია. გაზეთის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქართველ ებრაელ პუბლიცისტთა პირველმა თაობამ, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი დავით ბააზოვი იყო, სწორედ მის ფურცლებზე აიდგა ფეხი.

ია ეკალაძის თქმით, გაზეთი „სამშობლო“ „პირველი ქართული ბეჭდვითი ორგანო იყო, რომელმაც ქართველ ებრაელებს თავისი ფურცლები დაუთმო და საშუალება მისცა მათ თამამად გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ქართველ ებრაელთა საჭირბოროტო პრობლემებით ია ეკალაძის განსაკუთრებულ დაინტერესებას საფუძვლად ის დიდი პატივისცემა ედო, რომელიც მას ებრაელობის მიმართ ჰქონდა. თავის მხრივ კი ეს პატივისცემა, მწერლის თქმით, იმ უდიდესი წვლილით იყო განპირობებული, ებრაელებმა რომ შეიტანეს მსოფლიოს სულიერ საგანძურში.

ებრაულ პრობლემებთან დაკავშირებით „სამშობლოში“ გამოქვეყნებული წერილების ქართველი და ებრაელი ავტორები არა მარტო უბრალოდ მსჯელობენ იმჟამინდელ ქართველ ებრაელთა წინაშე მწვავედ მდგარ საჭირბოროტო პრობლემებზე, არამედ მათი პრაქტიკული გადაწყვეტის გზებსაც ეძებენ აქტიურად. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად აქ ის პოლემიკა მინდა გავიხსენო, რომელიც ათიანი წლების მეორე ნახევარში გაიმართა დავით ბააზოვსა და ქუთაისელ ებრაელთა რაბინ რ. ელუაშვილს შორის.

პოლემიკის წამომწყები ონელ ებრაელთა სულიერი მოძღვარი დავით ბააზოვი გახდა. 1915 წელს „სამშობლოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში მან თხოვნით მიმართა ებრაელ რაბინებს, დაევიწყებინათ პირადი ანგარიშები ერთმანეთის მიმართ და დათქმულ დროს ყველა ერთად შეკრებილიყო ერის საჭირბოროტო პრობლემებზე სასაუბროდ. პირველი კაცი, ვინც დ. ბააზოვის მოწოდებას დაუჭირა მხარი, ცხინვალელი რაბინი ხვოლესი იყო. თითქოსდა რა უნდა ყოფილიყო ამ პატრიოტული წინადადების საწინააღმდეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. დ. ბააზოვის მოწოდებამ, როგორც იმდროინდელ პრესაში დასტამბული წერილებიდან ჩანს, ქართველ ებრაელთა შორის აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

საზოგადოება ფაქტობრივად ორ ნაწილად გაიყო – მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ვნებათა ღელვა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც პრესის ფურცლებიდან ცნობილი გახდა ქუთაისის რაბინის – რ. ელუაშვილის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია. ქუთაისელ ებრაელთა სულიერმა თავკაცმა, პიროვნულად განაწყენებულმა იმის გამო, რომ „ვიღაც“ ახალგაზრდა პროვინციელი ეროვნულ საქმეებში თავკაცობას იჩემებდა და ამით მას, როგორც ებრაელობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემის წინამძღოლს, ავტორიტეტს უმდაბლებდა, მკაცრად გაილაშქრა ბააზოვის წინააღმდეგ. მან სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ მოთხოვნად მიიჩნია დ. ბააზოვის მოწოდება და რამდენიმე ისეთი ბრალდებაც წაუყენა მას, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების წინაშე ფაქტობრივად დასმენას წარმოადგენდა.

დ. ბააზოვსა და ქუთაისის რაბინს შორის წარმოქმნილი საკამათო საკითხების გასარკვევად დ. ბააზოვის ინიციატივით ქუთაისში, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, 1915 წლის 16 ნოემბერს სპეციალური კრებაც გაიმართა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად სპეციალური მიწვევისა, ქუთაისის რაბინი და მისი თანამოაზრენი კრებაზე პრინციპულად არ მივიდნენ. სამაგიეროდ, კრებას იმხანად ქუთაისში გამომავალი გაზეთების ქართველი წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

დ. ბააზოვის გამოსვლის უმთავრესი პათოსი იმ საჭირბოროტო პრობლემებზე საუბარი იყო, რითაც ქართველ ებრაელთა იმჟამინდელი ყოფა ხასიათდებოდა. მან დიდი გულისტკივილით ისაუბრა იმ ინტელექტუალურ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე, რითაც ქართველი ებრაელები გამოირჩეოდნენ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მათი მოძმეებისაგან. დ. ბააზოვის აზრით, ამ მდგომარეობიდან მათი გამოყვანის ერთადერთი გზა სწავლა-განათლება იყო. სწორედ ამ მიზნით გამოვიდა იგი მოწოდებით რაბინების წინაშე, ჩაეტარებინათ დიდი შეკრება და ერთად მოეძებნათ ამ მდგომარეობიდან გონივრული გამოსავალი. სამწუხაროდ, მისი ეს მოწოდება რაბინების დიდმა ნაწილმა არ მიიღო. უფრო მეტიც, ისინი დ. ბააზოვს ქართველთა ღალატში დებდნენ ბრალს და აცხადებდნენ, რომ სინამდვილეში მისი უმთავრესი მიზანი ქართველებისაგან ებრაელების გამოყოფა იყო.

დავით ბააზოვსა და ქუთაისელ რაბინს შორის გამართულ პოლემიკაში, გარდა ებრაელებისა, ქართველი მოღვაწეებიც აქტიურად ჩაერთვნენ. მათგან უპირველეს ყოვლისა ია ეკალაძე უნდა დავასახელოთ, რომელმაც გაზეთ „სამშობლოში“ 1915 წელს დაბეჭდილი წერილით პრინციპულად დაიცვა დავით ბააზოვის ეროვნულ-საგანმანათლებლო პოზიცია. მისი შეფასებით, ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოღვიძების პროცესს, რომელიც იმხანად უკვე საკმაოდ ძლიერად იყო დაწყებული და რომლის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ფიგურას დავით ბააზოვი წარმოადგენდა, ვერავინ შეაჩერებდა და „გამოფხიზლების გზაზე შემდგარი ქართველი ებრაელობა თავის წვლილს შეიტანდა ქართულს ცხოვრებასა და ლიტერატურაში“.

ია ეკალაძის ზემოთ განხილული წერილით მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება იმ აქტიურ თანადგომასა და პრაქტიკულ მხარდაჭერაში, რითაც ქართველი ერის ღირსეული შვილები ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მათ დაწინაურებას ცდილობდნენ.

რომის პაპი ფრანცისკ I: შანა ტოვა!

როშ ჰაშანის წინ მსოფლიოს ებრაული კონგრესის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი შეხვდა რომის პაპს ფრანცისკს. შეხვედრაზე რომის პაპმა ივრითზე წარმოსთქვა ,,შანა ტოვა ვე მეთუკა! ხოლო მოგვიანებით, როცა რონალდ ლაუდერმა კიდუში აკურთხა და თაფლში ამოვლებული პურის ნატეხი რომის პაპს გაუწოდა, პაპმა თქვა:

—გპირდებით, რომ ვიბრძოლებ რელიგიური აღმსარებლობის შეზღუდვის წინააღმდეგ. მივესალმები მთელ ებრაელ ხალხს. ვუსურვებ ტკბილ, ბედნიერ წელიწადს.

ირანი იცვლება?

ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როჰანიმ როშ ჰაშანის შემობრძანების წინ თავის ინგლისურენოვან ,,ტვიტერში" დაწერა:

—თეირანში მზე ჩადის და მე ვუსურვებ ებრაელობას, განსაკუთრებით კი ირანის ებრაელობას, ბედნიერ წელიწადს.

აღსანიშნავია, რომ ირანის პრეზიდენტის მილოცვა უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე აშშ პრეზიდენტისა იმ მიზეზის გამო, რომ ირანში მზე უფრო ადრე ჩადის, ვიდრე აშშ-ში.

იონას ამბავი დღეს

ებრაული ტრადიციის თანახმად, ის ადამიანი, რომელიც ქიფურის (შენდობის, მონანიების) დღეს საჯამაათოდ წაიკითხავს ,,იონას წიგნს"(,,იონას მაფტირი") მთელი წლის განმავლობაში გარანტირებული იქნება კარგი შემოსავლით(ფარნასით).

,,იონას წიგნი (მაფტირი)" ტრადიციულად ქიფურში ნაშუადღევის ლოცვისას იკითხება. ზოგიერთ თემში მისი წაკითხვის უფლებისათვის შეძლებულ ადამიანთა შორის,ხან აშკარა, ხანაც — კულისებსმიღმა შეჯიბრი იმართება. ყოველი ამათგანის სურვილია ზემოდან იქნას ნაკურთხი მათი შემოსავლიანობა.

მოსკოვის მთავარ ბეით ქნესეთში ერთ-ერთმა ბიზნესმენმა, რომლის გვარსაც არ ასახელებენ, 660 ათასი დოლარი გადაიხადა ,,იონას წიგნის (მაფტირის)" წაკითხვისათვის.

Walla კი გვატყობინებს, რომ ისრაელის სეფარდ ებრაელთა სულიერი ლიდერის ოვადია იოსეფის ბეით ქნესეთში იონას მაფტირი სულ რაღაც 26 ათას შეკელად იქნა შეძენილი, ხოლო ცნობილი კაბალისტის იოშუა პინტოს ბეით ქნესეთში ერთ-ერთმა ბიზნესმენმა „კოლ ნიდრეს" წაკითხვის უფლებისათვის ერთი მილიონი შეკელი გადაიხადა.

ევროპაში წინდაცვეთა იკრძალება?

2 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლიცია,რომლის მიხედვითაც ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ჩვილის წინდაცვეთა(ბრით მილა) ადამიანის უფლებათა დარღვევად გახლავთ გამოცხადებული.ამ რეზოლუციას ხმა მისცა 78 დეპუტატმა,წინააღმდეგი გახლდათ—13,თავი შეიკავა-—15 დეპუტატმა.

ამასთან დაკავშირებით, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას გაუგზავნა წერილი და მოუწოდა დაუყონებლივ გააუქმოს რეზოლუცია. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში აღნიშნულია, რომ იუდაიზმსა და ისლამში ახლადდაბადებულ ყმაწვილთა წინადაცვეთა(ბრით მილა) უძველესი რელიგიური ტრადიციაა.ამგვარ პრაქტიკას ბევრი ქრისტიანიც მიმართავს.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია: რეზოლუციის ავტორთა და შესაბამისად, მხარდამჭერთა მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს წინადაცვეთა საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, ეწინააღმდეგება თანამედროვე სამედიცინო კვლევების შედეგებს:ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტოში აშშ პედიატრთა ასოციაციამ გამოაქვეყნა ოფიციალური ანგარიში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩვილთა ჯანმრთელობისათვის უმჯობესია წინდაცვეთა(ბრით მილა).

—ეს რეზოლუცია ჩრდილს აყენებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას და ევროპაში სიძულვილის გაღვივებას უწყობს ხელს—აცხადებენ მიმართვის ავტორები.

როგორც გაზეთი ,,მაარივი" იუწყება, ისრაელის ქნესეთის საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ წერილი გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზეევ ელკინს და მიმართა წინადადებით: თუ რეზოლუცია ძალაში შევა, ევროპის ქვეყნების ებრაელებმა ბრით მილის რიტუალი ამ ქვეყნების დიპლომატიური მისიების-საელჩოების ტერიტორიაზე ჩაატარონ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლის თანამშროლები თანაგრძნობას უცხადებენ რამინ იაკობაშვილს მეუღლის

ჯულიეტა იაკობაშვილის

გარდაცვალების გამო.

მზია და რეზო გაჩეჩილაძეები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას

ჯულიეტა იაკობაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს

ნათელა ისრაელაშვილი, ირინა შალოლაშვილი-ისრაელაშვილი შვილებით, მალხაზ და ლეილა შალოლაშვილები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას

ჯულიეტა იაკობაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სოსო აჯიაშვილი თანაგრძნობას უცხადებს რამინ იაკობაშვილს ძვირფასი მეუღლის

ჯულიეტა იაკობაშვილის

გარდაცვალების გამო.

ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები იუწყებიან, ისრაელში ძვირფასი მეგობრის

ჯულიეტა იაკობაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.

როცა მეგობარს სტკივა...

გაზეთი „მენორა" ამზადებდა რამინ იაკობაშვილის დაბადების დღის მისალოც წერილს, რადგან მიიჩნევს, რომ რამინ იაკობაშვილი მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ და გახლავთ საქართველოს ებრაულ თემში, გამორჩეული კეთილშობილებით, ცხოვრების ებრაული წესითა და სულისკვეთებით.

მაგრამ...

მაგრამ მოხდა ის, რისი საშიშროებაც როგორც ჩანს, არსებობდა, მაგრამ ასე უცებ არ ველოდით. რამინ იაკობაშვილის მეუღლე – **ჯულიეტა იაკობაშვილი** გარდაიცვალა.

გარდაიცვალა ქალბატონი, რომელმაც მეუღლესთან ერთად შეჰქმნა დიდებული ოჯახი, აღზარდა მშვენიერი შვილები, ქალაქში, თემში გამოირჩეოდა ღირსებით, კეთილშობილებით.

ჯულიეტასა და რამინის ოჯახი ერთ-ერთი თვალსაჩინო გახლდათ საქართველოს ებრაელობაში და ამგვარი სახელის დაგდებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ ეშეთ ხაილ ქალბატონს – ჯულიეტას უდევს, რადგან ოჯახური სიწმინდის შემქმნელი, წარმომჩენი სწორედ ქალი გახლავთ.

ბოლო ორი წელიწადი ჯულიეტა ავადმყოფობდა, მძიმე სენს შეეპყრო, თუმცა, თავი ღირსეულად ეჭირა – ცდილობდა არ შეემჩნია, არც იმჩნევდა. კარგად იცოდა: გვერდით ისეთი კაცი ედგა, იმდენად ღირსეული და სიავესთან შეურიგებელი პიროვნება–რამინ იაკობაშვილი, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა ძვირფასი მეუღლისათვის. გააკეთა კიდეც. სიცოცხლის რამდენი დღე, თვე აჩუქა დაავადებულ მეუღლეს. რამინი მეუღლის ჯანმრთელობისათვის იბრძოდა და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს.

ფოტო, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, სულ ორიოდე თვის წინათაა გადაღებული, ვენაში, რამინისა და ჯულიეტას შვილიშვილის ქორწილში. აი, ასეთი საამო სანახავი იყვნენ ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში, ჯულიეტას ჯანმრთელობის წლებში კიდევ უფრო საამური.

მაგრამ...

წუთისოფელი. ქართველმა კაცმა ასე უწოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას. ჯულიეტას წუთისოფელი ამოიწურა. თუმცა, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები უთუოდ გაახანგრძლიბენ მის ხსოვნას.

,,მენორას"მეგობარს – რამინ იაკობაშვილს კი ვუსურვოთ გამძლეობა.

„მენორა"

სოსო ჯინჯიხაშვილის ხსოვნას

ეს წელი ერთობ მძიმე გამოდგა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური სამყაროსათვის, ჯერ ჯ.აჯიაშვილი გაეცალა წუთისოფელს, შემდეგ შ. ბოსტანაშვილი და აი, ახლახან ნიუ-იორკში მცხოვრები მხატვარი-არქიტექტორი, დიზაინერი სოსო ჯინჯიხაშვილი.

თითქოს მესამე აუცილებელი იყო!

ერთი თაობის სამი ძვირფასი წარმომადგენელი დაჰკარგა ქართველმა ებრაელობამ ამ წელს. ეს დიდი დანაკლისია.

ს. ჯინჯიხაშვილი გახლავთ მომხატველ-დამამშვენებელი ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთისა.კაცი, რომელიც სალოცავს აშენებს, იქნება ეს ბეით ქნესეთი, ეკლესია, თუ მეჩეთი, ძალიან დიდი ხნით იმკვიდრებს ადგილს ხალხის ხსოვნაში.

სოსო ჯინჯიხაშვილი გამოირჩეოდა ინტელექტით, სულიერი კეთილშობილებით. იგი დააკლდა არა მხოლოდ ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას, დააკლდა მსოფლიოს ქართველ ებრაელობას, მთელ ქართულ კულტურას, რადგან ქართული კულტურაზე აღზრდილი ამ კულტურის ნაწილი იყო.

ს. ჯინჯიხაშვილი განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ — ამას მისი ნაღვაწიც ადასტურებს: წავიდა შემოქმედი, მაგრამ მაინც ჩვენს შორისაა — მის მიერ დამშვენებული ქვინსის ბეით ქნესეთი მისივე ძეგლია.

„მენორა"

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003